პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

5 მაისი

კვირა,
1963 წ.
№ 88 (2193)
გამოცემის მე-19 წელი.
ფასი 3 კაპ.

ფიდელ კასტრო მოსკოვში

კუბის სოციალისტური რევოლუციის ერთიანი პარტიის ეროვნული ხელმძღვანელობის პირველი მდივანი, კუბის რესპუბლიკის რევოლუციური მთავრობის პრემიერ-მინისტრი ფიდელ კასტრო რუსი და სხვა კუბელი ამხანაგები რამდენიმე დღით წავიდნენ დასასვენებლად მოსკოვის მიდამოებში.

ფიდელ კასტროსთან ერთად გაემგზავრა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი. კუბელ სტუმრებს თან ახლავს საბჭოთა კავშირის ელჩი კუბის რესპუბლიკაში ა. ი. ალექსეევი.

პარტიის ნაცადი თანაშემწე

5 მაისი საბჭოთა პრესის დღეა. მას საფუძვლად დაედო ისტორიული თარიღი — 1912 წლის 22 აპრილი (5 მაისი), როცა პეტერბურგში ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელობითა და უშუალო ინიციატივით გამოვიდა გაზეთ „პრავდის“ პირველი ნომერი. ბოლშევიკური რევოლუციური სიტყვის პროპაგანდისტის ამ დაბადებაში პროლეტარიატის დიდმა ბელადმა — ვ. ი. ლენინმა შორსმჭვრეტელურად დაინახა „იმ გაზაფხულის პირველი მერცხალი, როდესაც მთელი რუსეთი დაიფარება მუშათა ორგანიზაციებით და მუშათა გაზეთების ქსელით“.

ბელადის ამ ბრძნულმა წინასწარმეტყველებამ სულ მალე, დიდი ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების დღეებიდანვე შეისხა ხორცი ცხოვრებაში. „პრავდა“ მართლაც გახდა პირველი მერცხალი იმ დღითი-დღე მზარდი საბჭოთა პრესისა, რომელიც დღეს საბჭოთა კავშირში გამომავალ 7000-ზე მეტ გაზეთს და 1500 ჟურნალს წარმოადგენს და რომელიც ტირაჟით 50 მილიონ ეგზემპლარს აჭარბებს. ეს არის უდიდესი ძალა, რომელიც ყოველთვის მხარში უდგას მშობლიურ კომუნისტურ პარტიას მის დიად, ტიტანურ საქმიანობაში კაცობრიობის ნათელი მომავლის — კომუნისტური საზოგადოების შესაქმნელად.

საბჭოთა პრესა პარტიის ერთგული თანაშემწეა, მასების კოლექტიური პროპაგანდისტი, კოლექტიური აგიტატორი და კოლექტიური ორგანიზატორი. იგი მგზნებარედ იბრძოდა ჩვენი პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მხარდამხარ ჯერ კიდევ სოციალისტური რევოლუციისა და სამოქალაქო ომის მღელვარე დღეებში, სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის წლებში, სამამულო ომის მრისხანე განსაცდელის ჟამს, ხოლო დღეს ასეთივე მხურვალე მგზნებარებით იბრძვის კომუნისტური საზოგადოების გაშლილ მშენებლობაზე გადასვლის პროცესში, როცა დღითი-დღე სულ უფრო მკაფიოდ ისხამს ხორცს მძლავრი შვიდწლედის გეგმა და ხალხებს შუქურასავით უნათებს გზას ბედნიერი მომავლისაკენ დღევანდელობის დიადი კომუნისტური მანიფესტი — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამა, რომელიც მიიღო სკკპ XXII ყრილობამ. თავისი ბასრი ლენინური სიტყვით ჩვენი პრესა ხალხთა ფართო მასებში პროპაგანდას უწევს უკვდავ კომუნისტურ იდეებს, იბრძვის ახალი ტიპის ადამიანის — კომუნისტური საზოგადოების მშენებელი ადამიანის მაღალი მორალური თვისებების აღზრდისათვის, ქმედითად უწყობს ხელს კომუნისტურ მშენებლობას ყველგან, ჩვენი მოღვაწეობის ყველა უბანზე — მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, მეცნიერებაში, ტექნიკაში, კულტურასა და განათლებაში.

მიმართავდა რა მისი არსებობის 50 წლისთავთან დაკავშირებით გაზეთ „პრავდას“ და საბჭოთა პრესის ყველა მუშაკს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავდა: „პრავდის“, მთელი საბჭოთა პრესის საპატიო მოვალეობაა კვლავაც დაუცხრომლად, მთელი ბოლშევიკური მგზნებარებით შეიტანონ მასებში მარქსიზმ-ლენინიზმის იდეები, დარაზმონ და წარმართონ ხალხის შემოქმედებითი ძალები კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესაქმნელად, კომუნისტური საზოგადოებრივი ურთიერთობის განსავითარებლად, ახალი ადამიანის აღსაზრდელად, გაბედულად დაუჭირონ მხარი ყოველივე მოწინავესა და პროგრესულს, გადაჭრით ამხილონ ნაკლოვანებანი და ხელი შეუწყონ მათს აღმოფხვრას. საბჭოთა ჟურნალისტების საპატიო მოვალეობაა აქტიურად განმარტონ პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს მშვიდობისმოყვარული საგარეო პოლიტიკა, მთელი თავიანთი ძალ-ღონე მოახმარონ მშვიდობის საქმის გამარჯვებისათვის, ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლას“. კომუნისტური პარტიის, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის ეს მითითება მთელი საბჭოთა პრესის დღევანდელი და მომავალი მოღვაწეობის შესანიშნავი სტიმულია.

საბჭოთა პრესის მუშაკები კვლავაც ყოველ ღონეს იხმარენ, რათა პირნათლად გაამართლონ მშობლიური კომუნისტური პარტიის, მისი ცენტრალური კომიტეტის რწმენა, რომელიც მან გამოთქვა „პრავდისა“ და საბჭოთა პრესის ყველა მუშაკისადმი მიმართვაში: „სკკპ ცენტრალური კომიტეტი მტკიცედ არის დარწმუნებული, რომ საბჭოთა პრესა, ყველა მისი მუშაკი ყოველთვის იქნებიან პარტიის ერთგული მებრძოლი თანაშემწენი მის ბრძოლაში კომუნიზმის გამარჯვებისათვის“.



საპირველმაისო დემონსტრაცია მოსკოვში. სურათებზე თქვენ ხედავთ ფიზკულტურელთა გამოსვლას წითელ მოედანზე.

ფოტოები ვ. სავოსტიანოვისა, ვ. ეგოროვისა და ვ. გენდე-როტესი.
(საკდესი).

„პრავდის“ სახელობის საერთაშორისო კროსი

დღეს, 5 მაისს, მოსკოვის ცენტრალურ იპოდრომზე სტარტი მიეცემა დიდ მძლეოსნურ შეჯიბრებას — „პრავდის“ მეორე საერთაშორისო და საკავშირო კროსის ფინალს, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვის, ლენინგრადის უძლიერესი მძლეოსნები, აგრეთვე საზღვარგარეთელი სტუმრები იუგოსლავიიდან, პოლონეთიდან, რუმინეთიდან, ჩეხოსლოვაკიიდან, გდრ-დან, ბულგარეთიდან, უნგრეთიდან, საფრანგეთიდან.

ყოველი კოლექტივის სპორტულ ღირსებას დაიცავს 30 მძლეოსანი (12 ქალი, 18 კაცი). აქედან ნახევარზე მეტი ახალგაზრდა სპორტსმენი იქნება. ისინი ერთმანეთს შეეჯიბრებიან 1000 მ (ქალები) და 3.000 მ (ვაჟები) დისტანციაზე. საინტერესო ბრძოლა გაიმართება 2.000 (ქალები) და 8.000 (ვაჟები) მეტრზე. აქ პირველობისათვის ერთმანეთს შეეცილებიან ჩვენი ქვეყნის უძლიერესი მორბენლები და საზღვარგარეთელი სტუმრები. შეჯიბრებისადმი ინტერესს ისიც აძლიერებს, რომ მონაწილეთა შორის იქნებიან ოლიმპიური ჩემპიონი და მსოფლიო რეკორდსმენი პ. ბოლოტნიკოვი, ცნობილი სპორტსმენები ვ. მუხანოვა, ლ. ლისენკო, ვ. სამოილოვი, ს. პოპოვი, ა. არტინიუკი. სრული გუნდებით გამოვლენ პოლონეთი, გდრ, იუგოსლავია, საფრანგეთი, ჩეხოსლოვაკია, რუმინეთი, უნგრეთი, სსრ კავშირი. უცხოელ სპორტსმენებიდან მაყურებლები ნახავენ ზ. კშიშკოვიაკს (პოლონეთი), ფ. იანკეს, გ. ბულის (გდრ), ი. პეევას (ბულგარეთი), ფ. მიხაილიჩის, ფ. ხაფნერის (იუგოსლავია) და სხვ.

როგორი შედეგებითაც არ უნდა დამთავრდეს ეს საინტერესო შეჯიბრება, იგი ხელს შეუწყობს სხვადასხვა ქვეყნის სპორტსმენთა კიდევ უფრო დამეგობრების, მსოფლიოს ხალხთა შორის მშვიდობის კეთილშობილურ საქმეს.

გუშინ შედგა მთავარ მსაჯთა კოლეგიის სხდომა კროსში მონაწილე გუნდების წარმომადგენლებთან ერთად. აქვე მოეწყო კენჭისყრა.

სსრკ - ფინეთი

3 მაისს ფინეთის დედაქალაქ ჰელსინკში დაიწყო ფინეთისა და საბჭოთა კავშირის ჩოგბურთელთა ნაკრები გუნდების მატჩი დევისის თასზე. პირველ დღეს კორტებზე გამოვიდნენ ერთეულები: ლეიუსი და ტოკირინენი, აგრეთვე მოზერი და პეტერსენი. ლეიუსმა ტოკირინენს სამივე პარტია იოლად მოუგო — 6:0, 6:3, 6:2. ასეთივე ანგარიშით (3:0) სძლია მოზერმა პეტერსენს. ამგვარად, I დღის შემდეგ საბჭოთა კავშირის გუნდი წინ იყო ანგარიშით 2:0. გუშინ, გვიან საღამოს, შედგა წყვილთა შეხვედრა. საბჭოთა გუნდის ღირსებას იცავდნენ ლეიუსი და ლიხაჩოვი.

დედაქალაქის სპარტაკიადა

ფრენბურთი

მართალია, ფრენბურთში უკანასკნელი დღის შეხვედრებს დედაქალაქის ჩემპიონის გამოსავლინებლად არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა, მაგრამ საპრიზო ადგილების განაწილებაში შეიძლება საგრძნობი კორექტივი შეეტანა.

ქალთა გუნდების შეჯიბრებაში „განთიადმა“ ადვილად ძლია „შრომით რეზერვებს“, მაგრამ „ბურევესტნიკი“ მოულოდნელ წინააღმდეგობას წააწყდა განათლების განყოფილების გოგონათა გუნდთან. გოგონები კონკურსგარეშე მონაწილეობდნენ სპარტაკიადაში და მათთვის ეს შეჯიბრება კარგ წვრთნას წარმოადგენდა. ძნელი გამარჯვება სტუდენტებმა მოიპოვეს.

ვაჟთა გუნდების ასპარეზობაში მეორე ადგილისათვის ბრძოლაში ერთმანეთის პირისპირ დადგა „განთიადი“ და „სპარტაკი“. სპარტაკელებს აუცილებლად უნდა მოეგოთ, რომ მეორე საპრიზო ადგილზე გამოსულიყვნენ. ეს ამოცანა მათ წარმატებით გადაჭრეს და მოუგეს მეტოქეს ანგარიშით 3:1.

საბოლოოდ ადგილები სატურნირო ცხრილში ასე განაწილდა: ქალები — „ბურევესტნიკი“, „განთიადი“, „სპარტაკი“, „შრომითი რეზერვები“, ვაჟები—„ბურევესტნიკი“, „სპარტაკი“, „განთიადი“, „დინამო“, „ლოკომოტივი“, „შრ. რეზერვები“.

★

ტრეკი

ველომრბოლელთა შეჯიბრება ტრეკზე სპრინტით დაიწყო. ქალთა შორის ბურევესტნიკელმა ვ. შახპარონიანმა და დინამოელმა ა. კარპენკომ ფინალამდე ადვილად მიაღწიეს. ფინალურმა შეჯიბრებამ გამარჯვება ბურევესტნიკელ სპორტის ოსტატ ვ. შახპარონიანს არგუნა.

საინტერესოდ წარიმართა შეჯიბრება ვაჟთა შორის. უძლიერესის სახელი დაისაკუთრა დინამოელმა სპორტის ოსტატმა ჯ. ზანდუკელმა.

გამოდევნებით რბოლაში 3 კილომეტრზე 10 ქალი ჩაება, მაგრამ ჩასათვლელი ნორმატივის შესრულება მხოლოდ სამმა შეძლო, რომელთაგან საუკეთესო იყო ვ. შახპარონიანი. მისი შედეგია 4 წუთი და 22,5 წამი. ვაჟთა შორის გამოდევნებით რბოლაში 4 კილომეტრზე დიდ წარმატებას მიაღწია დინამოელმა მ. კოლიშევმა, რომლის მიერ ნაჩვენები შედეგი 5.12 საუკეთესოა რესპუბლიკაში. აღსანიშნავია, რომ ეს შედეგი მიმდინარე სეზონში საუკეთესოა აგრეთვე საბჭოთა კავშირშიც. ადგილიდან 1 კილომეტრზე რბოლა მოიგო მ. კოლიშევმა — 1.13,7.

საინტერესოდ ჩაიარა გუნდურმა რბოლამ როგორც ქალთა, ისე ვაჟთა შორის. ქალებში პირველი იყო „ბურევესტნიკი“, ვაჟებში — „დინამო“.

გუნდური პირველი ადგილი „დინამომ“ დაისაკუთრა. მეორე ადგილისათვის ბრძოლა „ბურევესტნიკსა“ და „სპარტაკს“ შორის 1 ქულის უპირატესობით პირველის სასარგებლოდ გადაწყდა.

★

კრივი

ლენინის სახელობის სპორტდარბაზში ორ დღეს გრძელდებოდა მოკრივეთა ტურნირი. წონითი კატეგორიების მიხედვით საქალაქო სპარტაკიადის ჩემპიონები გახდნენ: მ. ჩობანიანი, გ. ვარდანიანი, ჯ. რაზმაძე, ზ. კოზაევი, მ. არუთინიანი, ო. ზებულაშვილი, მ. მამათავრიშვილი, რ. აკოფოვი და დ. ჩოგოვაძე.

გუნდურ ჩათვლაში უძლიერესი იყო „განთიადის“ კოლექტივი. მომდევნო ადგილებზე გამოვიდნენ „ბურევესტნიკი“ და „დინამო“.

უნდა აღინიშნოს, რომ კარგად ორგანიზებული შეჯიბრებისა და ობიექტური მსაჯობის მიუხედავად ტურნირმა უფერულად ჩაიარა, სპორტსმენთა უმეტესობის ტექნიკური მომზადების დონე დაბალი იყო, რის გამო ხშირად ორთაბრძოლები არაფრით წააგავდა ნამდვილ კრივს, რაც იმაზე მეტყველებს, რომ მწვრთნელები და თვით სპორტსმენები არასათანადოდ იბრძვიან ტექნიკური სრულყოფისათვის.

★

ტყვიით სროლა

ტყვიით მსროლელთა შეჯიბრება, რომელიც ავჭალის სასროლეთზე გაიმართა, დამთავრდა დინამოელთა გამარჯვებით, მომდევნო საპრიზო ადგილებზე გამოვიდნენ არმიელთა სპორტული კლუბისა და „ბურევესტნიკის“ სპორტსმენები.

პირად პირველობაზე შეჯიბრების მონაწილეთაგან პირველ რიგში აღსანიშნავია თ. ლეკიშვილის (არმიელთა სპორტკლუბი) წარმატება „გაქცეულ ირემზე“ 23 ორმაგ სროლაში. მან 207 ქულა მოაგროვა და პირველად შეასრულა ოსტატობა. ამ სახეობაში 50 ერთმაგი და 25 ორმაგი სროლის ჯამში სპარტაკიადის ჩემპიონობა მოიპოვა დინამოელმა გ. ბეგთაშევმა — 412 ქულა.

არმიული შაშხანიდან 300 მ სტანდარტზე (3×20) სროლაში გამარჯვებული გამოვიდა ვ. ვასილენკო (არმიელთა სპორტკლუბი) — 537 ქულა. ორი პირველი ადგილი მოიპოვა მისმა თანაგუნდელმა ვ. სალუქვაძემ. მრგვალ სამიზნეებსა და სილუეტებზე სროლაში (3 + 30) მან შეძლო 587 ქულის მოგროვება, რაც 1 ქულით ჩამორჩება ოლიმპიური ნაკრების საკანდიდატო ნორმატივს, ნორმატივამდე 2 ქულა დააკლდა მას მცირეკალიბრიანი პისტოლეტიდან მრგვალ სამიზნეებზე სროლაში — 553 ქულა, მაგრამ ორივე ვარჯიშში საგრძნობლად გადააჭარბა ოსტატის ნორმატივს.

ოსტატის ნორმატივზე უკეთესი შედეგები აჩვენეს სხვა გამარჯვებულებმაც. მცირეკალიბრიანი შაშხანიდან სტანდარტზე (3×20) სროლაში შ. ქველიაშვილმა („დინამო“) — 565 ქულა, „შველზე“ სროლაში — არმიელმა თ. ლეკიშვილმა — 325 ქ. საბრძოლო ნებისმიერი შაშხანიდან სტანდარტზე (3×20) სროლაში ვ. პანკოვმა („დინამო“) აჩვენა ზუსტად ოსტატის შედეგი — 562 ქულა. ვაჟთა შორის მცირეკალიბრიანი შაშხანიდან წოლელა სროლაში (60 გასროლა) უძლიერესი იყო პირველთანრიგოსანი გ. ჩიკვაიძე („ბურევესტნიკი“) — 584 ქულა, რომელსაც 4 ქულა დააკლდა ოსტატის ზღვარამდე. მცირეკალიბრიანი პისტოლეტით 5 სილუეტზე 60 გასროლა დამთავრდა დინამოელ რ. საბანაძის გამარჯვებით — 578 ქულა.

ქალთა შორის კარგად გამოვიდა ლ. გრუზდევა (არმიელთა სპორტკლუბი). მან მცირეკალიბრიანი შაშხანიდან სტანდარტზე (3×20) სროლაში დააგროვა 561 ქულა და 9 ქულით გადააჭარბა ოსტატის ნორმატივს. მცირეკალიბრიანი შაშხანიდან 50 მ წოლელა 60 გასროლაში ოსტატობამდის 2 ქულა დააკლდა დინამოელ რ. ბაქშიტიანს — 588 ქულა, მცირეკალიბრიანი პისტოლეტიდან მრგვალ სამიზნეებზე სროლაში 30 გასროლით კ. ტიმოფეევამ (არმიელთა სპორტკლუბი) შეძლო 559 ქულის მოგროვება, ხოლო კ. ფატეევამ („დინამო“) მცირეკალიბრიანი პისტოლეტით მრგვალ სამიზნეებსა და სილუეტებზე სროლაში 567 ქულის მოგროვებით მოიპოვა სპარტაკიადის ჩემპიონობა.

★

ცურვა

დამთავრდა მოცურავეთა შეჯიბრება. 400 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში სხვებთან ერთად ძალებს ცდიდა 14 წლის მ. ღიბრაძე, რომელმაც დისტანცია გაცურა 6.35,3-ში და გოგონათა ახალი რესპუბლიკური რეკორდი დაამყარა. მან კარგი შთაბეჭდილება დატოვა 100 მეტრზე ბატერფლაით ცურვაშიც, სადაც მხოლოდ 0,3 წამი არ ეყო პირველ თანრიგამდე.

1.500 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვა მოიგო 16 წლის დინამოელმა ს. კრავცოვმა — 21.13,5.

ესტაფეტები როგორც ქალთა, ისე ვაჟთა შორის დამთავრდა „დინამოს“ გუნდის გამარჯვებით. დინამოელებმა მოიპოვეს საერთო პირველი ადგილი სპორტის ამ სახეობაში.

★

წყალბურთი

ფიზკულტურელის პარკის აუზში ჩატარდა წყალბურთელთა ტურნირი. „დინამოს“ კოლექტივმა 4 შეხვედრიდან ყველა თავის სასარგებლოდ დაამთავრა და გახდა სპარტაკიადის ჩემპიონი. სამ გუნდს — „ბურევესტნიკს“, „ლოკომოტივსა“ და „განთიადს“ აღმოაჩნდათ 4-4 ქულა, მაგრამ ბურთების შეფარდებით უპირატესობა მიეკუთვნა „ბურევესტნიკს“. მესამე ადგილზე გამოვიდნენ „ლოკომოტივის“ წყალბურთელები.

* * *

ამ სურათებზე აღბეჭდილია სპარტაკიადის ჩემპიონები ზოგიერთ სახეობაში. **ზევით მარცხნივ** — ვაჟთა 100 მ რბენის ფინიშთან გამარჯვებული ა. ბედუკაძე („დინამო“). **მარჯვნივ** — არმიელი ტყვიით მსროლელი ვ. სალუქვაძე, რომელმაც ორი პირველი ადგილი მოიპოვა. მესტენდურეთა შეჯიბრებაში თავი ისახელა ბ. ანტონოვმა, მან ყველაზე მეტი — 196 ქულა მოაგროვა 200 შესაძლებლიდან და გაიმარჯვა. **ქვედა სურათზე** წინა პლანზე აღბეჭდილია სპარტაკიადის ჩემპიონი ბ. ანტონოვი.



პირველი შეხვედრები

გუშინ, ძერჟინსკის სახელობის კლუბში დაიწყო ოსტატთა ტურნირი, რომელშიც 16 გროსმაისტერი, ოსტატი და ოსტატობის კანდიდატი მონაწილეობს. მათ შორის არიან გროსმაისტერები ა. ტოლუში, რ. ხოლმოვი, ოსტატები ბ. გურგენიძე, მ. შიშოვი, ა. ბუსლაევი, ა. ბლაგიძე, თ. ლომაია და სხვები. I ტურში შედგა მხოლოდ ექვსი პარტია, ვინაიდან მოსკოველ ლ. შამკოვიჩსა და ბაქოელ ს. ჰალილბეილის დააგვიანდათ ჩამოსვლა.

ყურადღების ცენტრში იყო ტოლუშ-ჩიქოვანის პარტია. თბილისის ჩემპიონმა თავიდანვე ხელთ იგდო ინიციატივა და ჭარბი პოზიციური უპირატესობა მოიპოვა. გროსმაისტერი შეუპოვრად იცავდა თავს. თანდათანობით მან შეძლო მდგომარეობის გამუხტვა მრავალი ფიგურის გაცვლით. თანაბარ პოზიციაში მეტოქენი ყაიმზე შეთანხმდნენ.

ყაიმით დამთავრდა აგრეთვე ბუსლაევ-ჯინჯიხაშვილისა და თხელიძე-კალატოზიშვილის პარტიები.

რთული ბრძოლით აღინიშნა ხოლმოვ-არნშტეინის შეხვედრა. ჰოლანდიურ დაცვაში თბილისელმა აქტიური თამაში წამოიწყო მეფის ფრთაზე. გროსმაისტერმა საზრიანი მანევრებით უკუაგდო შავების მუქარები და თვითონ მოიპოვა მატერიალური უპირატესობა. არნშტეინი შეუპოვრად იცავდა თავს, მაგრამ 42-ე სვლაზე მაინც იძულებული იყო დაეთმო პარტია.

წყალტუბოელი ბერაძე დიდხანს ინარჩუნებდა უპირატესობას კიკიანთან. მან მძაფრი იერიში მიიტანა თბილისელის მეფეზე. მაგრამ ცაიტნოტში რამდენიმე უხეში შეცდომა გააკეთა და დამარცხდა.

მწვავე პოზიციაში გადაიდო გურგენიძე-ლომაიას პარტია.

დღეს ტურნირზე შედგება II ტური.

XVII პარტია არ შედგა

გუშინ დილით, მ. ბოტვინიკ-ტ. პეტროსიანის მატჩის ექიმმა შეატყობინა ორთაბრძოლის მთავარ მსაჯს, გროსმაისტერ გ. შტალბერგს, რომ მსოფლიო ჩემპიონს ავადმყოფობის გამო არ შეუძლია ითამაშოს მატჩის მორიგი, XVII პარტია, რომელიც 4 მაისს უნდა შემდგარიყო. მატჩის მთავარმა არბიტრმა XVII პარტიის თამაში გადაიტანა 6 მაისისათვის.

როგორც ცნობილია, ამჟამად, XVI პარტიის შემდეგ მატჩში ანგარიშია 8,5:7,5 ტ. პეტროსიანის სასარგებლოდ.

საქართველოს
პირველობა

I ჯგუფი

შედგა ფეხბურთში საქართველოს პირველობის VI ტურის მატჩები.

„ნადიკვარი“ (თელავი)-„მეშახტე“ (ტყიბული) — 1:2. მსაჯი გ. გოზალიშვილი (გორი).

ჯერ კიდევ თამაშის დასაწყისში მასპინძელთა მეკარემ დაუშვა შეცდომა და „მეშახტემ“ გახსნა ანგარიში, რომელიც უცვლელი დარჩა ტაიმის ბოლომდე. შესვენების შემდეგ ტყიბულის ფეხბურთელები დიდ ხანს უტევდნენ და ბოლოს „ნადიკვარის“ კარში გატანილ იქნა კიდევ ერთი ბურთი. მატჩის ბოლო წუთზე თელაველებმა შეძლეს ერთი საპასუხო ბურთის გატანა და დამარცხებულებმა დატოვეს მინდორი — 1:2.

„იმერეთი“ (ქუთაისი)-„გვირაბმშენი“ (თბილისი) — 3:1. მსაჯი ნ. კონდახსაზოვი (თბილისი).

მატჩის პირველი ნახევარი მთლიანად ქუთაისელთა უპირატესობით მიმდინარეობდა, რომლებიც მოწინააღმდეგეს ჯობნიდნენ ყველა ხაზში. ეს უპირატესობა აღინიშნა 3 „მშრალი“ ბურთით „გვირაბმშენის“ კარში. მეორე ტაიმში მასპინძლებმა საგრძნობლად მოუკლეს თამაშს, მაგრამ თბილისელებმა მხოლოდ ერთი საპასუხო ბურთის გატანა შეძლეს.

„ცისკარი“ (ცხაკაია)-„მეტალურგი“ (ზესტაფონი) — 1:1. მსაჯი ლ. ჯოხაძე (ხაშური).

ზესტაფონის ფეხბურთელებმა კარგად ითამაშეს ძლიერი მოწინააღმდეგის მინდორზე და თუმცა მეორე ტაიმში „ცისკარი“ წინ იყო ანგარიშით 1:0, შეძლეს გაეტანათ საპასუხო ბურთი — 1:1.

„მაღაროელი“ (ჭიათურა)-სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი (თბილისი) — 0:1. მსაჯი უ. ფურცელაძე (თბილისი).

თამაში ჩატარდა თანაბარ ბრძოლაში გარდამავალი უპირატესობით, მაგრამ ორივე გუნდის თავდამსხმელებმა ვერ გამოიყენეს მთელი რიგი ხელსაყრელი შესაძლებლობანი. კიდევ უფრო დაძაბული იყო ბრძოლა მეორე ტაიმში. მატჩის ბედი გადაწყვიტა სტუდენტთა თავდამსხმელის ბ. თალაკვაძის მიერ გატანილმა ერთადერთმა გოლმა.

„მექანიზატორი“ (ფოთი)-„მერცხალი“ (მახარაძე) — 0:1. მსაჯი ფ. ჰელიძე (თბილისი).

სტუმრებმა თავიდანვე აქტიურად დაიწყეს თამაში და ტერიტორიულ უპირატესობასაც მიაღწიეს, მაგრამ შედეგი დიდ ხანს არ ჩანდა. მხოლოდ მაშინ, როცა თამაში დასასრულს უახლოვდებოდა, მახარაძელებმა გაიტანეს გადამწყვეტი ბურთი და გაიმარჯვეს კიდეც.

გეგეჭკორის „სალხინოს“ გუნდი არ გამოცხადდა ბათუმში ადგილობრივ „განთიადთან“ სათამაშოდ, რის გამოც მას ჩაეთვალა დამარცხება.

II ჯგუფი

„მესხეთი“ (ახალციხე)-ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი)— 4:1. მსაჯი ვ. შახნაზაროვი (თბილისი).

სტუდენტთა გუნდმა წარმატებით მოიგერია ახალციხელთა პირველი იერიშები, შემდეგ დაეუფლა ინიციატივას და გახსნა კიდეც ანგარიში — 1:0, მაგრამ სტუმართა წარმატება ამით ამოიწურა. „მესხეთმა“ ჯერ გაქვითა ეს გოლი, ხოლო შემდეგ, როცა მინდვრის სრული ბატონ-პატრონი გახდა, კიდევ 3 ბურთი გაიტანა და გაიმარჯვა ანგარიშით 4:1.

„ისანი“ (თბილისი)-„სპარტაკი“ (ცხინვალი) — 1:0. მსაჯი გ. აკობაშვილი (თბილისი).

გოლი, რომელმაც „ისანს“ მოუტანა გამარჯვება, გატანილ იქნა პირველ ტაიმში. შესვენების შემდეგ სტუმრები ბევრს ეცადნენ მიეღწიათ წარმატებისათვის, მაგრამ მათი ყველა ცდა უშედეგოდ დამთავრდა. სპარტაკელები დამარცხდნენ — 0:1.

„ოდიში“ (ზუგდიდი)-„დინამო“ (სოხუმი) — 4:0. მსაჯი გ. ვაჩირიძე (თბილისი).

სოხუმელებმა ვერ გაუძლეს „ოდიშის“ ფეხბურთელთა შეწყობილ, ენერგიულ იერიშებს. ზუგდიდელებს მთელი თამაშის განმავლობაში ხელიდან არ გაუშვიათ ინიციატივა, რაზეც ნათლად მეტყველებს მატჩის საბოლოო შედეგი — 4:0 მათს სასარგებლოდ.

„სინათლე“ (თბილისი)-„მეშახტე“ (ტყვარჩელი) — 4:1. მსაჯი ვ. რაზმაძე (თბილისი).

თბილისელთა თამაშმა განვლილ მატჩში საუკეთესო შთაბეჭდილება დატოვა. მართალია, „მეშახტემ“ საგრძნობლად გამოასწორა მდგომარეობა მატჩის დასასრულს, მაგრამ მასპინძელთა უპირატესობა უდავო იყო. „სინათლემ“ გაიმარჯვა ანგარიშით 4:1.

„გურია“ (ლანჩხუთი)-„შუქურა“ (ქობულეთი) — 4:1. მსაჯი კ. ლოგინოვი (თბილისი).

ქობულეთელთა კარი პირველივე წუთებიდან მასპინძელთა ძლიერი შეტევის ქვეშ აღმოჩნდა და უკვე მეორე ტაიმის დასაწყისში ანგარიში იყო 3:0 „გურიის“ სასარგებლოდ. მატჩის ბედი ფაქტიურად უკვე გადაწყვეტილი იყო და მასპინძელთა იერიშებიც შენელდა. დარჩენილ დროში მოწინააღმდეგეებმა გაიტანეს თითო ბურთი და გამარჯვება დარჩათ ლანჩხუთელებს — 4:1.

„დურუჯი“ (ყვარელი)-„ლოკომოტივი“ (სამტრედია) — 0:0. მსაჯი რ. გუდაძე (თბილისი).

„დურუჯს“ საგრძნობი ტერიტორიული უპირატესობა ჰქონდა დასაწყისიდანვე, მაგრამ გუნდის თავდამსხმელები ჩქარობდნენ და ვერ იყენებდნენ ხელსაყრელ მომენტებს. გარდა ამისა, კარგად ითამაშეს „ლოკომოტივის“ დაცვამ და მეკარემ. თამაში დამთავრდა ისე, რომ ბურთი არ გატანილა არც ერთ კარში.

„კახეთი“ (გურჯაანი)-„განთიადი“ (ბორჯომი) — 1:2. მსაჯი მ. მელქუ (თბილისი).

ატალახებული მინდორი საგრძნობლად უშლიდა ხელს ორივე გუნდს თამაშში. პირველი ბურთი გატანილ იქნა სტუმართა მიერ, რომელიც მეორე ტაიმში გაქვითეს მასპინძლებმა. მატჩის დამთავრებამდე 7 წუთით ადრე „განთიადმა“ გაიტანა კიდევ ერთი ბურთი და მოიპოვა გამარჯვება — 2:1.

საქართველოს 1963 წლის პირველობის გათამაშების ცხრილები

მდგომარეობა 4 მაისისათვის

I ჯგუფი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ბ.
„მეშახტე“ ტყიბული	6	6	0	0	14—2	12
„იმერეთი“ ქუთაისი	6	5	0	1	18—5	10
სას. სამ. ინსტ. თბილისი	6	4	2	0	11—2	10
„განთიადი“ ბათუმი	6	3	2	1	5—3	8
„მერცხალი“ მახარაძე	6	2	3	1	8—2	7
„მეტალურგი“ ზესტაფონი	6	2	3	1	8—8	7
„ნადიკვარი“ თელავი	6	3	0	3	10—9	6
„დილა“ გორი	5	1	3	1	5—6	5
„გვირაბმშენი“ თბილისი	6	2	0	4	10—8	4
„მაღაროელი“ ჭიათურა	6	1	2	3	5—8	4
„ცისკარი“ ცხაკაია	6	1	2	3	7—12	4
„მექანიზატორი“ ფოთი	6	1	1	4	3—10	3
„მეტალურგი“ რუსთავი	5	0	2	3	4—16	2
„სალხინო“ გეგეჭკორი	6	0	0	6	3—21	0

II ჯგუფი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ბ.
„სინათლე“ თბილისი	6	5	1	0	13—6	11
„ლოკომოტივი“ სამტრედია	6	3	2	1	6—2	8
„მესხეთი“ ახალციხე	6	3	1	2	13—6	7
„შუქურა“ ქობულეთი	6	3	1	2	8—10	7
„ოდიში“ ზუგდიდი	6	2	2	2	12—5	6
„სპარტაკი“ ცხინვალი	6	2	2	2	8—6	6
„გურია“ ლანჩხუთი	6	3	0	3	11—10	6
„დინამო“ სოხუმი	6	2	2	2	8—9	6
„ისანი“ თბილისი	6	3	0	3	7—9	6
„განთიადი“ ბორჯომი	6	2	2	2	6—9	6
„შახტიორი“ ტყვარჩელი	6	1	3	2	7—9	5
ფიზ. ინსტ. თბილისი	6	2	0	4	7—9	4
„კახეთი“ გურჯაანი	6	0	3	3	4—9	3
„დურუჯი“ ყვარელი	6	0	3	3	2—11	3

9 სახეობის შემდეგ

„მეტალურგის“ სტადიონზე საზეიმო ვითარებაში გაიხსნა რუსთავის III საქალაქო სპარტაკიადა, რომლის პროგრამაშია სპორტის 19 სახეობა. უკვე დამთავრდა შეჯიბრებები 9 სახეობაში. მეტალურგებმა გუნდური პირველი ადგილები მოიპოვეს კლასიკურ, თავისუფალ, ქართულ ჭიდაობებში, მძლეოსნობაში, ნიჩბოსნობასა და ძალოსნობაში. ქიმიკოსები უძლიერესები აღმოჩნდნენ ფარიკაობაში, განათლების განყოფილების სპორტსმენები — ტანვარჯიშში, ხოლო ავტომატიზაციისა და მექანიზაციის საპროექტო-საკვლევი ინსტიტუტის გუნდმა ყველას აჯობა მოჭადრაკეთა ტურნირში.

ფარიკაობაში პირად პირველობაზე რაპირისტთა შეჯიბრება ქალთა შორის მოიგო ა. კუშნირმა (მეტალურგიული ქარხანა), ვაჟთა შორის გაიმარჯვა ქიმიკოსმა გ. მითითაშვილმა, ესპადრონისტთა ბრძოლები დამთავრდა გ. ფეიქრიშვილის (მეტალურგიული ქარხანა) გამარჯვებით, დაშნით მებრძოლთა შორის პირველი იყო ო. ალიევი.

ძალოსნობაში მეტალურგებიდან ჩემპიონები გახდნენ ბ. კობიაშვილი, ბ. ჩემია, ი. შუბითიძე, ვ. ჰოხონელიძე, ვ. ფირცხალავა და ს. გოგოლაური, ქიმიკოსმა ვ. ჩაპლიგინმა პირველი ადგილი დაიკავა უმძიმეს წონაში. ქვემსუბუქ და მსუბუქ წონებში უძლიერესები აღმოჩნდნენ დინამოელები ა. გულაგაშვილი და ნ. კოლემეიჩუკი.

ნიჩბოსნობაში ყველაზე კარგი შედეგები ქონდათ: ერთადგილიანით შეჯიბრებაში—„მეტალურგის“ სპორტსმენებს ლ. ბესპალოვას (ქალები) და ვ. პოკრივჩენკოს (ვაჟები). წყვილთა ტურნირში და ესტაფეტებში პირველობა ისევ მეტალურგებს დარჩათ. მძლეოსანთა სტარტებმა გამოავლინა ქალაქის ახალი ჩემპიონები. ვაჟთა შორის ბირთვის კვრაში, ბადროსა და შუბის ტყორცნაში უძლიერესი აღმოჩნდა „მეტალურგის“ გუნდის წევრი ი. კობაიძე, მისმა თანაგუნდელმა ვ. ნესტერენკომ შეჯიბრება მოიგო ორ დისტანციაზე — 1500 და 5000 მ რბენაში. 100 მეტრზე პირველი იყო მშენებელი ა. პისკარევი, 400 მეტრზე — დინამოელი ა. აფონინი, სიმაღლეზე ხტომაში — ნ. მენთეშაშვილი (განათლების განყოფილება). ქალთა შორის სპრინტერული დისტანციები დამთავრდა გან. განყ. გუნდის წევრების ზ. ნესტერენკოსა და ნ. კანდრიუკოვას გამარჯვებით. ლ. ასატუროვა („მეტალურგი“) პირველი იყო 400 მეტრზე რბენაში, ხოლო მშენებელი ვ. პალიანიჩკო — ბირთვის კვრასა და ბადროს ტყორცნაში და სხვა.

პირველთანრიგოსან ტანმოვარჯიშეთა შორის ქალებში ყველაზე მეტი ქულა მოაგროვა მ. შრირომ („მშენებელი“), მეორეთანრიგოსანთა შორის — ნ. ბაგინსკაიამ (გან. განყ.), ვაჟთა შორის პირველთანრიგოსანთა ტურნირი დამთავრდა ვ. სტერხოვის (გან. განყ.) გამარჯვებით, მეორეთანრიგოსნებში ყველას აჯობა ლ. ასათიანმა („მეტალურგი“).

თავისუფალ ჭიდაობაში წონითი კატეგორიების მიხედვით გაიმარჯვეს: ტ. კაპანაძემ („მეტალურგი“), ვ. ლაფაჩიშვილმა („მშენებელი“), პ. ჯიოშვილმა, შ. ჩაჩხიანმა (ორივე „მეტალურგი“), მ. გრიგალაშვილმა, კ. სპანდერაშვილმა (ორივე „ქიმიკოსი“), ი. ბეყოშვილმა („მეტალურგი“), ს. სიქტურაშვილმა („მშენებელი“) კლასიკურ მოჭიდავეთა შეჯიბრებამ წონითი კატეგორიების მიხედვით პირველი ადგილები მოუტანა: თ. ჯიოშვილს („მშენებელი“), ვ. ლაფაჩიშვილს, პ. ჯიოშვილს, გ. ჭამიაშვილს („მეტალურგი“), მ. სონოვს („მშენებელი“), კ. სპანდერაშვილს, ლ. კუპატაძეს („დინამო“), ს. სიქტურაშვილს. რაც შეეხება ქართულ ჭიდაობას აქ უძლიერესები იყვნენ: ვ. ნანუაშვილი („დინამო“), თ. თამაზიშვილი („ქიმიკოსი“), კ. აბულაძე („მეტალურგი“), ჯ. მაისურაძე („მშენებელი“), რ. ბალაშვილი („მეტალურგი“), ვ. გრიგალაშვილი („ქიმიკოსი“), ჯ. ხუციშვილი და ი. ბეყოშვილი (ორივე „მეტალურგი“).

რ. გაბრიჩიძე

* * *

სურათებზე: ზევით — ერთადგილიანი ბაიდარები დისტანციაზე. ქვევით — დაშნით მოფარიკავეთა შეხვედრა. ბილიკზე არიან ო. ალიევი („ქიმიკოსი“) და გ. კალმახელიძე („მშენებელი“).

ნაკრები ემზადება

საბჭოთა კავშირის ხელბურთელ ვაჟთა ნაკრები 19 მაისს თავის პირველ შეხვედრას გამართავს მსოფლიოს ორგზის ჩემპიონთან — შვეციის ნაკრებთან. ამასთან დაკავშირებით მოსკოვში ეწყობა საბჭოთა ნაკრების საწვრთნო შეკრება. როგორც ცნობილია, თბილისის „ბურევესტნიკიდან“ ნაკრებში შეყვანილი არიან ჯ. აბაიშვილი, ჯ. ცერცვაძე, თ. ანთაძე და ი. ფხაკაძე. თბილისელები და ნაკრების მეორე მწვრთნელი გ. შარაბიძე უკვე გაემგზავრნენ მოსკოვში. მათთან ერთად გაემგზავრნენ აგრეთვე თბილისის „ბურევესტნიკის“ დანარჩენი წევრებიც, რომლებიც წვრთნას გაივლიან ნაკრების წევრებთან ერთად. საბჭოთა კავშირის ნაკრებს განმეორებითი მატჩი მოსკოვში შვედებთან ექნება 21 მაისს, ხოლო შემდეგ ისინი თბილისს ესტუმრებიან. აქ შვედები 23 და 25 მაისს კვლავ საბჭოთა ნაკრებს შეხვდებიან, ხოლო 26 მაისს მათ მეტოქეობას გაუწევს თბილისის „ბურევესტნიკი“.

2-22 63

2-0-2 65

შენიშვნები საბჭოთა ძიუდოისტებზე

გამოცდილი ახალბედები

„ჩვენს ქვეყანაში შეიქმნა ძიუ-დოს ჭიდაობის ნაკრები გუნდი“ — ასეთი ცნობა გამოჩნდა სპორტულ პრესაში ამ ორი წლის წინათ და სულ მალე — 1962 წლის მარტში ჩვენთან შეიქმნა ჭიდაობის ამ სახეობის ფედერაცია, დაკომპლექტდა ნაკრები გუნდი, საფრანგეთიდან ჩამოიტანეს სპეციალური ხალიჩა — „ტამამი“. პირველნი ვინც კი განიზრახა ძალები გამოეცადა ჩვენს ძიუდოისტებთან, ფრანგი სპორტსმენები იყვნენ და... წააგეს კიდეც ახალბედებთან, რომლებმაც პირველად ჩაიცვეს თეთრი კიმონო. მოსკოვში შეხვედრის შემდეგ სტუმრები გაემგზავრნენ თბილისში, სადაც რამდენიმე დღის წინათ შემდგარმა საბჭოთა კავშირის მეორე ნაკრებმა გუნდმა ფრანგებს კვლავ დამარცხება აგემა, ხოლო მალე ევროპის ჩემპიონატზე ჩვენმა გუნდმა მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა, კონტინენტის აბსოლუტური ჩემპიონი გახდა საბჭოთა სპორტსმენი ანზორ კიკნაძე.

ინგლისის

საფეხბურთო ჩემპიონატის გათამაშების ცხრილი

	თ.	ბ.	ქ.
„ევერტონი“	37	72:39	52
„ლეისესტერ სიტი“	38	75:44	52
„ტოტენჰემ ჰოტსპ.“	37	102:54	50
„ბერნლეი“	35	67:50	44
„ვულვერჰემპტონი“	36	87:56	44
„ლივერპული“	36	65:51	41
„არსენალი“	36	73:66	40
„შეფილდ უენსდეი“	35	60:56	38
„შეფილდ იუნატ.“	36	48:51	37
„ფულჰემი“	36	42:56	35
„ნოტინჰემი“	34	53:58	33
„უესტჰემ იუნაიტ.“	35	58:61	33
„ბლეკპული“	37	48:59	33
„ბლეკბერნი“	36	59:64	32
„ასტონ ვილა“	35	52:60	31
„ბოლტონ უონდ“.	33	49:59	30
„ვესტ ბრომ. ალბ“.	35	58:68	30
„იპსვიჩ ტაუნი“	37	52:73	29
„მანჩესტერ სიტი“	33	50:76	27
„მანჩესტ. იუნაიტ“.	34	54:67	27
„ბირმინჰემი“	34	49:68	25
„ლეიტონი“	35	32:69	17

ინგლისის ჩემპიონატის გათამაშების ცხრილში ბუნდოვანი მდგომარეობა იმას უნდა მიეწეროს, რომ ცივი ზამთრის შედეგად ბევრი თამაში იქნა გამოტოვებული და ამის გამო ზოგი გუნდი აშკარად ჩამორჩა. როგორც ცხრილიდანაც ჩანს, „ლეისესტერ სიტიმ“ ჩაატარა თამაშების ყველაზე უფრო დიდი რაოდენობა — 38, მაშინ, როდესაც ზოგ გუნდს მხოლოდ 33 შეხვედრა აქვს გამართული.

მიმდინარე წლის გაზაფხულზე ჩვენი ძიუდოისტები გაემგზავრნენ იაპონიაში. ამომავალი მზის ქვეყნის საუკეთესო სპორტსმენებმა, რომლებთათვის ძიუ-დო სპორტის ეროვნული სახეობაა, დამარცხება განიცადეს. მხოლოდ „ფარდის დახურვის“ წინ იაპონელებმა შეძლეს რევანშის აღება.

ვინ არიან ეს განსაცვიფრებელი ახალბედები, რომლებმაც ერთი წლის განმავლობაში შეძლეს არა მარტო ძიუ-დოს ტექნიკისა და ტაქტიკის ათვისება, არამედ დამაჯერებელი გამარჯვების მოპოვებაც?

გავამჟღავნებთ ერთ პატარა საიდუმლოებას: ახალბედები სრულებით არ არიან ახალბედები. ჭიდაობა ძიუ-დო ჩვენს ქვეყანაში კარგა ხანია ცნობილია. ჯერ კიდევ 20-იან წლებში ვლადივოსტოკში არსებობდა ძიუდოისტთა წრე, რომელსაც ხელმძღვანელობდა სამხედრო თარჯიმანი ვასილი ოშჩეპკოვი. მან ბავშვობის წლები გაატარა იაპონიაში, იქ დაამთავრა ძიუ-დოს მწვრთნელთა ინსტიტუტი და ჩვენს ახალგაზრდებს ასწავლიდა ჭიდაობის ამ სახეობის ილეთებს.

30-იან წლებში ოშჩეპკოვი საცხოვრებლად გადმოვიდა მოსკოვში და აქ განაგრძო თავისი მოღვაწეობა. შემდეგ ძიუ-დო შეტანილ იქნა ფიზკულტურის ცენტრალური ინსტიტუტის სასწავლო პროგრამაში. მაგრამ შემდეგ მან სახე იცვალა და აი რატომ: ჩვენი ქვეყნის მრავალეროვან ხალხს აქვს საკუთარი ეროვნული ჭიდაობა. საქართველოში მას „ჭიდაობას“ უწოდებენ, სომხეთში — „კოხს“, აზერბაიჯანში — „გიულეშს“, უზბეკეთში — „ყურაშს“, ტაჯიკეთში — „გუშტინგელს“ და ა. შ. ყოველი მათგანისათვის დამახასიათებელია ფეხებით აქტიური მოქმედება, სარმა, მოგვერდი და სხვა ილეთი. მაგრამ ისინი ძალზე განსხვავდებიან ძიუ-დოსაგან, რადგან, ზემოხსენებულ ჭიდაობებში აკრძალულია მტკივნეული ილეთების გამოყენება.

30-იან წლებშივე ჩვენს ქვეყანაში არსებული ეროვნული ჭიდაობების ერთმანეთთან შერწყმით დამკვიდრდა ახალი სახეობა — სამბო, რომელსაც აქვს რა ბევრი საერთო ძიუ-დოსთან, შევიდა საკავშირო სპორტულ კლასიფიკაციაში. სპორტის ამ სახეობაში ტარდება ბევრი შეჯიბრება, მათ შორის ქალაქების, რესპუბლიკების, სსრ კავშირის ჩემპიონატები. სამბოში ჭიდაობიდან თავისუფალ ჭიდაობაში მოვიდა ბევრი გამოჩენილი საბჭოთა სპორტსმენი. მაგალითად XV ოლიმპიური თამაშებისა და 1954 წლის მსოფლიო ჩემპიონი არსენ მეკოკიშვილი, მსოფლიოს 1954 და 1957 წლების მსოფლიო ჩემპიონი ვახტანგ ბალავაძე, რომელმაც თავისი სპორტული გზა ქართული ჭიდაობით დაიწყო, შემდეგ დაეუფლა სამბოს და ბოლოს თავისუფალი ჭიდაობის შეუდარებელი ოსტატი გახდა.

მაგრამ სამბისტებს საერთაშორისო სარბიელზე გასვლის საშუალება არ ჰქონდათ, რადგან ეს ჭიდაობა მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში იყო კულტივირებული. ჩვენმა სპორტსმენებმა, რომლებიც საერთაშორისო სპორტული თანამშრომლობის პრინციპების ერთგულნი არიან, დაიწყეს ძიუდოისტთა შეჯიბრებებში მონაწილეობა. მათი პირველი მეტოქეები იყვნენ უნგრეთის, გდრ-ს ჩეხოსლოვაკიის მოჭიდავეენი.

ძიუ-დოს ევროპის კავშირის წევრებმა, რომლებიც ესწრებოდნენ საბჭოთა სპორტსმენების გამოსვლას, მიანიჭეს მათ ოსტატთა შავი სარტყელი და მეორე დანი. (სარტყელში 6 დანია, მეექვსე — უმაღლესია). ეს იყო გასული წლის მარტში. საბჭოთა ძიუდოისტებმა მოიპოვეს ოფიციალური აღიარება და მას შემდეგ წარმატებით ამართლებენ მათზე მინიჭებულ წოდებას.

ამჟამად ჩვენი ქვეყნის ძიუდოისტთა ნაკრები გუნდი ემზადება ევროპის მომავალი ჩემპიონატისათვის, რომელიც ჟენევაში გაიმართება. ნაკრების საბოლოო შემადგენლობა ჯერჯერობით ცნობილი არ არის, მაგრამ ცნობილი არიან მოჭიდავეები, რომლებიც პრეტენზიას აცხადებენ ევროპის ჩემპიონატზე წასვლაზე.

პირველყოვლისა აღსანიშნავია ევროპის აბსოლუტური ჩენპიონი ანზორ კიკნაძე (მძიმე წონა). ასეთივე შანსი აქვს მეორეს, აგრეთვე მძიმე წონის ანზორ ქიბროწაშვილს — ევროპის გასული წლის ჩემპიონს [illegible] კატეგორიაში. ორივე სპორტსმენი საქართველოს მკვიდრია. მათი საჭიდაო გზა ერთნაირია — პირველად ქართული ჭიდაობა, შემდეგ სამბო, თავისუფალი ჭიდაობა, დაბოლოს ძიუ-დო. მძიმე წონაში არის კიდევ ერთი კანდიდატი — ინჟინერი ჰენრიხ შულცი, რომელიც ძიუდოში მოსვლამდე ჩვენი ქვეყნის ექვსგზის ჩემპიონი იყო სამბოში.

80-კილოგრამიან წონით კატეგორიაში ჩვენი ქვეყნის სპორტულ ღირსებას დაიცავს ილია ციპურსკი ან ალფრედ კარაშჩუკი. დაბალ წონით კატეგორიებში აღსანიშნავია ვალერი ნატალენკო და რობერტ ჯლამაძე. ეს უკანასკნელი უფრო ცნობილია, როგორც თავისუფალი სტილის მოჭიდავე. ის იყო ჩვენი ქვეყნის ჩემპიონი, ხოლო აშშ-ში 1962 წელს მსოფლიო პირველობაზე პრიზიორიც კი გახდა.

ევროპის ჩემპიონატისათვის ძიუდოში ჩვენს ნაკრებს ამზადებს სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ვლადლენ ანდრეევი, სწორედ მას ეკუთვნის გადამწყვეტი სიტყვა გუნდის საბოლოო შემადგენლობის დაკომპლექტების საქმეში. ნაკრების პრეტენდენტები საკმაოდ ძლიერები არიან და უნდა ვიფიქროთ, რომ ჟენევაში საბჭოთა ძიუდოისტები ჭიდაობის მაღალ კლასს აჩვენებენ.

ვ. პაშინინი,

ნოვოსტის სააგენტოს სპორტული მიმომხილველი.

* * *

სურათებზე: საბჭოთა და ფრანგ ძიუდოისტთა შეხვედრის მომენტები. მარცხნივ — მძიმე წონის მოჭიდავეების ჰ. შულცის (სსრ კავშირი) და ი. რაიმონის (საფრანგეთი) ორთაბრძოლა. ერთმანეთს ხვდებიან მსუბუქი წონის სპორტსმენები ო. სტეპანოვი (სსრ კავშირი) და ა. ბურო (საფრანგეთი).

ჭაბუკები ცდიან ძალებს

სადღესასწაულო დღეებში სოჭში თავი მოიყარეს რსფსრ-ს, მოსკოვისა და საქართველოს ჭაბუკთა და გოგონათა ნაკრებმა გუნდებმა კალათბურთსა და ფრენბურთში. ასპარეზობაში ჩაებნენ მასპინძლებიც, რომლებიც ლენინგრადის გუნდის მაგივრად იქნენ დაშვებული შეჯიბრებაში.

პირველ დღეს კალათბურთში ერთმანეთს შეხვდნენ მოსკოვისა და საქართველოს გოგონათა და ჭაბუკთა გუნდები. გოგონათა გუნდების შეხვედრაში ინიციატივას თავიდანვე ქართველი სპორტსმენები დაეუფლნენ და პირველი ტაიმიც მათ სასარგებლოდ დამთავრდა — 34:17. მეორე ნახევარში მათ ხელიდან არ გაუშვიათ ინიციატივა და სძლიეს მეტოქეს ანგარიშით 57:37. ვაჟთა გუნდების შეხვედრაში მოსკოველებმა მხოლოდ პირველ ნახევარში შეძლეს ასეთუისე წინააღმდეგობის გაწევა, მაგრამ მაინც წააგეს ტაიმი — 30:31. მეორე ნახევარში ქართველი კალათბურთელები მოედანს მთლიანად დაეპატრონენ და დიდი ანგარიშით გაიმარჯვეს — 77:57. განსაკუთრებით კარგი თამაშით თავი გამოიჩინეს ზ. საკანდელიძემ და ქ. ვერძეულმა. პირველმა გუნდს 28 ქულა შესძინა, მეორემ — 24 ქულა. მეორე დღეს ქართველი კალათბურთელები მასპინძლებს შეხვდნენ და ადვილად მოუგეს მათ: გოგონებმა — 92:34, ვაჟებმა — 72:45.

ფრენბურთში ასპარეზობის პირველ დღეს ჩვენი რესპუბლიკის გოგონათა გუნდი შეხვდა მოსკოვის კოლექტივს და მოუგო — 3:0. ჭაბუკები სოჭელებს შეხვდნენ. აქაც წარმატება ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენებს ხვდათ წილად — 3:0.

ბრაზილიელთა მესამე დამარცხება

ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონის—ბრაზილიის ნაკრები გუნდის გასტროლებმა ევროპაში.

როგორც ცნობილია, ბრაზილიელები დამარცხდნენ პორტუგალიაში (0:1), ბელგიაში (1:5) და მხოლოდ ერთ გამარჯვებას, ისიც მძიმე ბრძოლაში მიაღწიეს საფრანგეთთან (3:2).

ამ დღეებში მსოფლიო ჩემპიონი შეხვდა ჰოლანდიის ნაკრებ გუნდს და კიდევ ერთი დამარცხება იწვნია — 1:0.

ევერესტი კვლავ დაპყრობილია

მსოფლიოს უმაღლესი მწვერვალი ევერესტი (8.880 მ) კვლავ დაპყრობილ იქნა. ეს გააკეთა ამერიკულმა ექსპედიციამ, რომლის ორმა წევრმა ფეხი დაადგა უმაღლეს მწვერვალს.

ეს უკვე მეოთხე ექსპედიციაა, რომელმაც დაიპყრო ევერესტი.

რედაქტორი О. უგულავა.

დღეს თბილისში

კალათბურთი. ს. მ. კიროვის სახ. პარკის კალათბურთის მოედანი. **„ბურევესტნიკის“ ცენტრალური საბჭოს პირველობა.** მონაწილეობენ: საქართველოს, სომხეთის, უკრაინის, აზერბაიჯანის, ბელორუსიის, მოსკოვის, ლენინგრადისა და სხვა გუნდები. დასაწყისი 13 ს.

ცხენოსნობა. იპოდრომი. ქალაქის სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება. დასაწყისი 12 ს.

ჩოგბურთი. მარჯანიშვილის ქუჩაზე მდებარე კორტები. ქალაქის სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება. დასაწყისი 16 ს.

ჭადრაკი. ძერჟინსკის სახელობის კლუბი. ოსტატთა ტურნირი, რომელშიც მონაწილეობენ: გროსმაისტერები ა. ტოლუში (ლენინგრადი), რ. ხოლმოვი (სოჭი), საერთაშორისო ოსტატი ლ. შამკოვიჩი (მოსკოვი), ოსტატები (ს. ჰალილბეილი (ბაქო), ბ. გურგენიძე, მ. შიშოვი და სხვ. დასაწყისი 16 ს.

ЛЕЛО ИНДЕКС 66448

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით, შაბათობითა და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო“, ტელეფონები: რედაქტორის — 3-35-82, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3-35-00, გამომშვების — 3-01-06.

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 07888